ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრთა ელექტრონული გამოკითხვის შედეგები
ოქმი №23

თბილისი, 17 ოქტომბერი, 2025 წელი

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე დამტკიცების მიზნით, საბჭოს წევრებს გაეგზავნათ დღის წესრიგი და შესაბამისი მასალები.

დღის წესრიგი:

თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაციით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№20181/10, 13.08.2025) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ სოფიო ტალიაშვილისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება და მის სახელზე დიპლომის დანართის მომზადება ცნობის სახით საათების, კრედიტებისა და შეფასებების მითითებით.

   ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ სოფიო ილიას ასული ტალიაშვილი 1996 წლის მისაღების გამოცდების შედეგების საფუძველზე დამატებით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №4/127, 09.02.2000).

   შენიშვნა: ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა თსუ არქივიდან გამოითხოვა კურსდამთავრებულის პირადი საქმე, რომელშიც ინახება 1996 წლის 8 აგვისტოს დათარიღებული მისაღები გამოცდის ტესტი მათემატიკაში. პირად საქმეში დაცულია კურსდამთავრებულის განცხადება. სოფიო ილიას ასული ტალიაშვილი 2000 წლის 4 თებერვალს განცხადებით მიმართავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს. განცხადებიდან ჩანს, რომ სოფიო ტალიაშვილმა მისაღები გამოცდების ჩააბარა 1996 წელს, და მისაღები გამოცდების საფუძველზე გახდა ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სპეციალობაზე „ფინანსები და საბანკო საქმე“ ჩარიცხვის კანდიდატი. იმ პერიოდის წესების თანახმად ჩარიცხვის კანდიდატი სწავლის საფასურის გადახდისა და ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმების შემდეგ ხდებოდა სტუდენტი თსუ რექტორის ბრძანების გაფორმების შემდეგ. განცხადებიდან ჩანს, რომ სოფიო ტალიაშვილმა 1996

წელს განცხადებით მიმართა თსუ რექტორატს და ითხოვა სწავლის საფასურის გადავადება. მან 1997 წელს იმ პერიოდის ფასების თანახმად გადმორიცხა 3 წლის სწავლის საფასური, რომელიც წარადგინა დეკანატის სამდივნოში. სამდივნომ თავის მხრივ სტუდენტის სახელზე გასცა სტუდენტის ბილეთი და ჩათვლის წიგნაკი, ასევე, მისი გვარი შეიტანა სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა, დაუშვა შეცდომა და სტუდენტს სწავლა დააწყებინა ხელშეკრულების გაფორმებისა და ჩარიცხვის ბრძანების გარეშე.

ზემოაღნიშნული ფაქტების შესწავლის შემდეგ 2000 წლის თებერვალში გამოიცა თსუ რექტორის ბრძანება სოფიო ტალიაშვილის თსუ ჩარიცხვის შესახებ (იხ. ბრძანება №4/127, 9.02.2000).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი სოფიო ტალიაშვილი 2001 წელს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან (ბრძანება №4/942, 26.09.2001), ხოლო 2002 წელს აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში (ბრძანება №4/187, 27.02.2002).

ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2001-2002 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ სოფიო ტალიაშვილს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანასები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №8) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 18 დეკემბრის №4/1755 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (სპეციალობა - საბანკო საქმე) და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში სოფიო ტალიაშვილის სახელზე რეგისტრირებულ დიპლომში (დიპლომი B №08328, სარეგისტრაციო №01/205) აღნიშნულია, რომ **„სოფიო ტალიაშვილი 1996 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2002 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

სოფიო ტალიაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№8, 18.06.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1762, 20.12.2002) მინიჭებულ ხარისხთან. ამასთან, არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში და თსუ რექტორის ბრძანებაში დაფიქსირებული სპეციალობის დასახელება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო

საქმის“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.** ასევე, მოძიებული იქნა 1997-2002 წლებში ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალები, საიდანაც ჩანს, რომ სოფიო ტალიაშვილი სწავლობდა ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის საბანკო საქმის სპეციალიზაციით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებაში (№4/1762, 20.12.2002) დაშვებულია შეცდომა და კურსდამთავრებულ სოფიო ტალიაშვილს ხარისხი მინიჭებული აქვს „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაში „საბანკო საქმის“ სპეციალიზაციით ნაცვლად „საბანკო საქმის“ სპეციალობისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №8, 18.06.2002) გადაწყვეტილება და დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულებს (მ. შ. სოფიო ტალიაშვილი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს:

1. შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №8) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულ სოფიო ტალიაშვილს მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 18 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№8) დაფიქსირებულ ყველა დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულზე (იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №8, 18.06.2002) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაციით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№24447/10, 30.09.2025) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის

2002 წლის კურსდამთავრებულ **ვალერიანე როსტომბაიასთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ვალერიან ზაურის ძე როსტომბაია 1996 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მექანიკა-მათემატიკის დასწრებული სწავლების მათემატიკის (მათემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, მათემატიკური ეკონომიკა) სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 6.08.1996).

1997 წელს ვალერიან ზაურის ძე როსტომბაია განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან გადაყვანილი იქნა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოებაზე სპეციალობის დასწრებული სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/851, 22.09.1997).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობის კურსდამთავრებულ ვალერიანი როსტომბაიას სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის შემაჯამებელის სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს ადმინისტრატორის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივლისის №4/830 ბრძანებით **ბიზნეს ადმინისტრატორის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №07973 (სარეგისტრაციო №01/75) რეგისტრირებულია ვალერიან როსტომბაიას სახელზე.

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№2, 14.06.2002) ვალერიან როსტომბაიასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემური ხარისხი და კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივნისის №4/830 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №2, 14.06.2002) და დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ვალერიან როსტომბაიას ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** უნდა მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს:

1. შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულ ვალერიანი როსტომაიასთვის მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№2) დაფიქსირებულ ყველა დღის განყოფილების კურსდამთავრებულზე (იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 14.06.2002) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი **ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ღლონოთლაძე**